

## საქართველოში თოვლის საფარის ცვლილება კლიმატის ცვლილების ფონზე

*ნინო ლომიძე*

ელ-ფოსტა: [nino.lomidze@tsu.ge](mailto:nino.lomidze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 3

თოვლის საფარი დედამიწის კლიმატური სისტემის ყველაზე მგრძობიარე ელემენტია და იმავდროულად კლიმატის გლობალური ცვლილების მნიშვნელოვანი ფაქტორიც. თოვლის საფარის რეჟიმს ძირითად ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად (ადგილის განედი, ოროგრაფია, ატმოსფერული ცირკულაცია) ახლა უკვე ანთროპოგენური ფაქტორიც განაპირობებს, რაც ატმოსფეროს გაჭუჭყიანებამ და ნახშირორჟანგის გაზრდამ (CO<sub>2</sub>) გამოიწვია.

თოვლის საფარის ხანგრძლივობის, ანუ თოვლიან დღეთა რიცხვის კანონზომიერების დადგენა დროსა და სივრცეში თანამედროვე კლიმატოლოგიის ერთ-ერთი კარდინალური საკითხია, რომელსაც დიდი პრაქტიკული და რიგ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ჰიდროენერგეტიკის, მშენებლობის, რეკრეაციის და მეურნეობის სხვა დარგებისათვის. თოვლის საფარი საქართველოს ტერიტორიაზე, მსგავსად ატმოსფერული ნალექებისა, ხასიათდება არათანაბარი განაწილებით. ეს განპირობებულია თოვლწარმომქმნელი ფაქტორებით და ტერიტორიისათვის დამახასიათებელი რთული რელიეფით.

მთებში სიმაღლის მატებასთან ერთად ჰაერის ტემპერატურის შემცირება (ყოველ 1000 მ-ზე, საშუალოდ 6°C-ით) განაპირობებს ატმოსფერული ნალექების თოვლის სახით მოსვლას, რაც თოვლიან დღეთა რიცხვის მნიშვნელოვანი მატებით დასტურდება.

თოვლის საფარის დასახასიათებლად დამუშავდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მეტეოსადგურების, საგუმაგოების და მარშრუტული აგეგმვის მრავალწლიური მასალები, რის შედეგადაც გამოვლინდა:

საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 10%-ზე თოვლის საფარის სიმაღლე ყოველწლიურად არემატება 90 სმ-ს. ამ რაიონის ცალკეულ რეგიონებში, კერძოდ ლეზარდში, გუდაურში, ბახმაროში, ჯვრის უღელტეხილზე და ცისკარაზე, თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე აღწევს 100 - 145 სმ-ს. რაიონი დასავლეთ საქართველოში მოიცავს, ძირითადად, საშუალომთიან და მაღალმთიან ზონებს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში – მაღალმთიან ზონას. დასავლეთ საქართველოს საშუალო-მთიანი, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილის საშუალო და მაღალმთიანი და სამხრეთი ნაწილის მაღალმთიანი ზონების უმეტესი ნაწილი უკავია რაიონებს, სადაც თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე არის 30 – 60 და 60 – 90 სმ; რაიონები შესაბამისად მოიცავს საქართველოს მთლიანი ფართობის 13% და 11%-ს. საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი (67%) უჭირავს რაიონს, სადაც თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე ნაკლებია 30 სმ-ზე. რაიონი დასავლეთ საქართველოში მოიცავს ზღვის დონიდან 800 – 1000 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიას, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში როგორც დაბალმთიან, ისე საშუალომთიან ზონებს.